ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

6 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 232 (10 401) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# კარგი მაგალითი გადამდებია

**რაც** უფრო კარგად არის ორგანიზებული შეჯიბრება, მით უფრო მაღალია სპორტული შედეგები. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ყველამ კარგად იცის, მაგრამ ტურნირების მაღალ დონეზე მოწყობას მხოლოდ ზოგიერთები ახერხებენ. ამ მხრივ მისასალმებელია ოზურგეთის სპორტული ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებმაც საქართველოს X სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მესტენდურეთა ჩემპიონატს უნაკლოდ უმასპინძლეს. კარგად მოწყობილ შეჯიბრებას, ბუნებრივია, მაღალი შედეგებიც მოჰყვა. კმაყოფილი დარჩა ყველა: სპორტსმენებიც, მათი მწვრთნელებიც და მაყურებლებიც, თუმცა...

ერთი-ორი შენიშვნის უფლებას (ოღონდ არა ორგანიზატორთა მისამართით) მაინც ვიტოვებთ. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ოთხმა გუნდმა (თბილისი, ქუთაისი, ოზურგეთი, წყალტუბო), არადა, სასპარტაკიადო სტარტებში ვერ ვიხილეთ ისეთი ტრადიციების მქონე ქალაქები, როგორიც გახლავთ სოხუმი, ზუგდიდი ან ბათუმი. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია სოხუმელთა ინერტულობა, რომლებსაც თავის დროზე ჩემპიონებიც კი ჰყავთ აღზრდილი.


თამაზ იმნაიშვილი

ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ იმნაიშვილი, რომლის მონაწილეობამ ერთიორად გაუზარდა ავტორიტეტი შეჯიბრებას. საერთოდ, მესტენდურეები არასდროს არიდებდნენ თავს რესპუბლიკურ ჩემპიონატებს და მუდამ ხალისით გამოდიოდნენ მათში, თუ, რა თქმა უნდა, ამ დროს უცხოეთში ან საკავშირო შეჯიბრებებზე არ იმყოფებოდნენ. თამაზ იმნაიშვილის გამოსვლა ამ ტურნირში გახდა იმის მიზეზი, რომ მრგვალ სტენდზე მოასპარეზეებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს. კარგი მაგალითი, მოგეხსენებათ, მუდამ გადამდებია. თამაზ იმნაიშვილმა („დინამო"), ცხადია, პირველი ადგილი დაიკავა — 221 ქულა (225 შესაძლებლიდან). მეორე ადგილზე გავიდა გამარჯვებულის თანაგუნდელი დავით ქვათაძე, მესამეზე კი „შევარდენის" გუნდის წევრი დავით მანჯგალაძე. ამ დუეტის შერკინება უაღრესად დაძაბული გამოდგა და საბოლოო ჯამში ორივემ 216 ქულა დააგროვა, მაგრამ უპირატესობა ამჯერად ქვათაძეს მიენიჭა, რომელმაც ფინალში 24 სამიზნე დააზიანა. მანჯგალაძე მას გადამწყვეტ სერიაში ერთი სამიზნით ჩამორჩა.

ადგილიდან სროლა სასპარტაკიადო ტურნირის მეორე სახეობა იყო. აქ პირველ სამეულში მოხვდნენ: შოთა თავაძე („შევარდენი") — 210 ქულა (225-დან), სერგეი ანდრეევი (არმიის სპორტკლუბი) — 203 და ბესიკ [illegible] („შევარდენი") — 198.

გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება თბილისელმა მესტენდურეებმა დაისაკუთრეს — 321 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ოზურგეთის (210 ქულა), ქუთაისის (157) და წყალტუბოს (40) წარმომადგენლები. ოზურგეთელ მსროლელთა ეს წარმატება, პირველ რიგში, ადგილობრივი სპორტის მესვეურთა ყურადღებითა და მონდომებით უნდა აიხსნას. შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისთვის მადლობას იმსახურებს მთავარი მსაჯიც, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, ოზურგეთელი გივი ხომერიკი.


შოთა თავაძე

XI

თვის მონაგარი

# ნოემბერი, ფეხბურთი და... სხვა დანარჩენი

**არც** შემოდგომის მიწურულს შეირცხვინეს თავი ქართველმა სპორტსმენებმა საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. კვლავაც მრავალი თასი, სხვადასხვა ხარისხის მედალი, სპორტული პრიზი და ჯილდო დაიდებს ბინას საქართველოში.

ამ ბოლო ხანებში ხშირად გაიგონებთ — საქართველოში კლასიკური ჭიდაობა აღმავლობის გზაზეა, დაკარგულ ტრადიციებს იბრუნებსო. ამის თქმის უფლებას კი ოპტიმისტებს ის წარმატებები აძლევს, რომლებსაც ზედიზედ აღწევენ ჩვენი „კლასიკოსები" მსოფლიო სარბიელზე. და აი, კიდევ ერთი გამარჯვება: ზაურ ივანიშვილმა, რომელმაც წელს არაერთხელ გაგვახარა თავისი მიღწევებით, ბრწყინვალედ იასპარეზა შვეციაში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში და დაიმსახურა ეს მეტად საპატიო ჯილდო.

**ერთდროულად** ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობა ყველა სპორტსმენისათვის საამაყო და სანატრელია. ამ წოდების მოპოვება კი გაცილებით ძნელია გუნდურ და ჯგუფურ სახეობებში. ინგა გიორგობიანმა, ნატალია ანისიმოვამ და ირინა ოვოიანმა — ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო აკრობატებმა ჯგუფურ ვარჯიშში — არათუ ერთხელ, მეორედ მოიპოვეს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობა, რომელთაც ერთდროულად მასპინძლობდა გერმანია. ჩვენი სამეულის ეს წარმატება, უდავოდ მისი სტაბილურობის დასტურია.

...და კვლავ ძიუდო! აბა, ის რა თვეა, ძიუდოს ქართულმა სკოლამ, მართლაც ერთ-ერთმა უძლიერესმა მსოფლიოში, თავი არ ისახელოს საერთაშორისო ასპარეზზე. პარიზში, ძიუდოისტთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე, საკავშირო ნაკრების ძირითად ბირთვს ქართველი ძიუდოისტები წარმოადგენდნენ და ხუთმა მათგანმა კიდეც გამოიჩინა თავი: ვლადიმერ დგებუაძემ და დავით ხახალეიშვილმა „ოქრო" მოიგეს, ხოლო კახი კურასბედიანი, გურამ მოდებაძე და დავით ბაგაური მეორენი იყვნენ.

**ქართველ** მოკრივეთა ბოლოდროინდელი წარმატებები უმთავრესად მოზარდთა და ახალგაზრდულ შეჯიბრებებზეა მოპოვებული. ახე რომ, ქართულ კრივს ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი უმაღლესი რანგის ასპარეზობების კვარცხლბეკთა დასაპყრობად; მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ხომ ჯერ ის მყარი საფუძველია საჭირო, რომელზეც დიდი ჩემპიონები უნდა აღიზარდნონ, ამიტომაც არის გასახარი ჩვენი ახალგაზრდა მოკრივეების მიღწევები. ზურაბ ფალიანმა უნგრეთში, ქალაქ ეგიერის საერთაშორისო ტურნირში, ოთხ მეტოქეს

იხ. 2 გვ.

## სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ:

**კლასიკურ ჭიდაობაში** — გიორგი მშვენიერაძეს (თბილისი, „მართვე"), გოჩა ციციაშვილს (თბილისი, „შევარდენი");

**თავისუფალ ჭიდაობაში** — ივან ყუშიტაშვილს (თბილისი, „მართვე");

**ხელბურთში** — დავით ხარაძეს (თბილისი, „შევარდენი");

**ცურვაში** — გიორგი დათეშიძეს (თბილისი, „შევარდენი")

**ფარიკაობაში** — ნინო ბეროძეს (თბილისი, „შევარდენი");

**სპორტულ ტანვარჯიშში** — ლია აბდუშელიშვილს, ნონა მარგიანს (ორივე — თბილისი, „მართვე"), ნაირა სააკიანს (თბილისი, „შევარდენი").

**ათლეტიზმში** — უჩა ქორიძეს, სოლომონ ჩეკურიშვილს (ორივე — თბილისი, „შევარდენი").

# მოეწონებათ იაპონელებს?

**ძალიან** სწრაფად გაირბინა თბილისის ზღვის 15 კილომეტრიანი მონაკვეთი ქვეყნის უძლიერესმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა, უახლოესი მდევარი მას 2,7 წუთით ჩამორჩა.

ეს გარბენი გასულ კვირას გაიმართა თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით. მონაწილენი ბევრნი არ ყოფილან და ო. სტრიჟაკოვის მაღალმა შედეგმა აშკარად „გადარჩინა" ასპარეზობა. მან თბილისის ზღვის წრიულ ტრასაზე, რომელიც დროებით საიმედოდ გადაკეტეს ქალაქის ავტოინსპექციის მუშაკებმა, 15 კილომეტრი 45 წუთსა და 40,6 წამში დაფარა. მისივე თქმით, ასეთი მონდომება იმიტომ გამოიჩინა, რომ მალე იაპონიაში, საერთაშორისო შეჯიბრებაზე უნდა გაემგზავროს და ამიტომ თავისი მზადყოფნა შეამოწმა.

მეორე ადგილი დაიკავა სერგეი არტამონოვმა — 48.47,0, მესამე — ვალერი გედევანიშვილმა — 48.52,4. ჭაბუკებს შორის ათკილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაირბინა რუსთაველმა ანდრეი ნაუმოვმა (32.58,8) გოგოებში — თბილისელმა ლიზა ბურნაძემ (42.55,2).

გვინდა ვთქვათ შემდეგიც: სპორტკომიტეტებს, საერთოდ, ისედაც მცირე თანხა მოეპოვებათ სპორტსმენთა დასაჯილდოებლად და სხვადასხვა წამახალისებელი პრემიების გადასაცემად. და რაც ანგარიშზე აქვთ, მის გამოყენებასაც იმდენი საბუღალტრო ბარიერი ელობება, დაჯილდოებანი, ფაქტობრივად, სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი მაღალი შედეგისათვის, რომელსაც სტრიჟაკოვმა მიაღწია აღნიშნულ დისტანციაზე, ორგანიზატორს უფლება უნდა ჰქონდეს მეტი გულუხვობა გამოიჩინოს. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა დროა ახლა.


ო. სტრიჟაკოვი.

# ექვსიდან ხუთი საპრიზო ადგილი

**მოსკოვი.** აქ დაწყებულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში (ტრეკზე) წარმატებით გამოდიან საქართველოს ველოსიპედისტები — სპორტსაზოგადოება „მართვეს" წარმომადგენლები. პროგრამის ორ სახეობაში (გიტი 200 მეტრზე სვლით და 500 მეტრზე ადგილიდან) ექვსი სხვადასხვა ღირსების მედლიდან ხუთი სწორედ მათ დაისაკუთრეს.

ორივე სახეობის გიტში გამარჯვება წილად ხვდა ვალერი პოტაპოვს (200 მეტრიან დისტანციაზე 10,8 აჩვენა). ომარ ფხაკაძე მეორე იყო 500 მეტრზე და მესამე — 200 მეტრიან დისტანციაზე. ერთი საპრიზო ადგილი (მეორე) დაიკავა ზურაბ ბოლდაშვილმა (200 მ. გიტში). სხვათა შორის, 500 მეტრზე რბოლაში იგი მეოთხე იყო.

# სამბისტები მოსკოვში იკრიბებიან

**ხვალ** მოსკოვში დაიწყება სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებს, ახალგაზრდებს და მოზრდილებს (ქალები და ვაჟები) შორის. ასეთ მასშტაბურ ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ გამოთქვა, სადაც კი ჭიდაობის ეს სახეობაა დანერგილი.

ჩემპიონატში გამოვლენ ქართველი სამბისტებიც. მოზრდილთა ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია ქართველი ფალავანი მალხაზ ბერუაშვილი. ახალგაზრდათა ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზებენ მურთაზ თურქია (62 კგ) და კობა გურეშიძე (მძიმე). იუნიორთა ჩემპიონატში სავარაუდოა კონსტანტინე კუსიდისა (65 კგ) და ნიკოლოზ გაგნიაშვილის (75 კგ) გამოსვლა.

პარასკევს ასპარეზობას დაიწყებენ 17-18 წლის იუნიორები, შაბათს 19-20 წლის ახალგაზრდები. კვირა და ორშაბათი კი მოზრდილთა ასპარეზობას (ვაჟები, ქალები) დაეთმობა.

# სიგულდა, ბრატსკი, ალბერვილი...

**დადგა** „სპორტული ზამთარი" — უკვე გაიმართა პირველი შეჯიბრებები თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში, სამთო-სათხილამურო და საციგაო სპორტში.

ამას წინათ, ახალ სეზონში ძალები მოსინჯეს ჩვენმა უძლიერესმა მოციგავეებმა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა, ბაკურიანელებმა ლევან თიბილოვმა და კახა ვახტანგიშვილმა. ისინი ლატვიის კურორტ სიგულდას ცნობილ ტრასაზე გამოვიდნენ ქვეყნის თასის გათამაშების პირველ ეტაპზე.

89,55 — ასეთი იყო მათი შედეგი ამ საინტერესო შეჯიბრების ფინიშზე. უკეთესი შედეგი (89,45) მხოლოდ მოსკოველთა წყვილმა: იგორ ლობანოვმა და გენადი ბელიაკოვმა აჩვენა. ახლა ლ. თიბილოვი და კ. ვახტანგიშვილი იქვე, სიგულდაში იმყოფებიან საკავშირო ნაკრების შეკრებაზე. უახლოეს პერიოდში მათ კიდევ ორი ძნელი და საინტერესო ასპარეზობაელით: თასის გათამაშების მომდევნო ეტაპი რუსეთის ფედერაციის ქალაქ ბრატსკში და „ოლიმპიური კვირეული" საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ალბერვილში.

„ლელოს" კორ.

XI

• თვის მონაგარი

# ნოემბერი, ფეხბურთი და... სხვა დანარჩენი

(დასასრული)

პირწმინდად სძლია (ერთნაირი ანგარიშით — 5:0) და I ადგილი დაიკავა; თურქეთში ჩამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა კობა გოგოლაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კობა ნახევარფინალიდან ტრავმის გამო მოხსნეს შეჯიბრებიდან, თორემ, ალბათ, არც „ოქრო“ იქნებოდა მისთვის მიუღწეველი. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ კ. გოგოლაძემ საკავშირო თასის გათამაშებაში ახალგაზრდებს შორის თანაგუნდელებთან: გიორგი წკრიალაშვილთან და ზურაბ ხარხანიასთან ერთად უძლიერესის სახელი დაიმსახურა, გიორგი ზერგიანმა და გია გოლეთიანმა კი III ადგილი დაიკავეს.

მართალია, ვლადიმერ გაბრიჩიძემ დღემდე ვერ შეძლო მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა რიგებში ადგილის დამკვიდრება, მაგრამ ნებისმიერი დონის ჩოგბურთელისთვის რომ ანგარიშგასაწევი მეტოქეა, მან ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა პორტუგალიაში, „სატელიტების“ სერიის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. ამ გამარჯვებით ვ. გაბრიჩიძემ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში საკუთარ რეიტინგს 30 ქულა შემატა და, იმედია, ეს „შენამატი“ უფრო მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირებისკენ გაუხსნის გზას.

ის ფაქტი, რომ 4 წელია არც ერთ ქართველ მხატრულ ტანმოვარჯიშეს არ უასპარეზია საკავშირო ნაკრებში და, ამდენად, მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებზე, დიდხანს აწუხებდათ სპორტის ამ სახეობის ქართველ გულშემატკივრებს. და აი, ელისო ბედოშვილმა მოუსპო მათ წუხილის საბაბი: მან ჯერ იყო და მსოფლიო თასი და ევროპის პირველობა მოიგო, ახლა კი შვეიცარიის ტრადიციულ „ვარსკვლავთა ტურნირში“ თავის ხუთ თანაგუნდელთან ერთად ჯგუფურ ვარჯიშში მოიპოვა უძლიერესის სახელი.

გაემგზავრებოდა თუ არა რუსუდან ხოფერია ბატუტზე მხტომელთა შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირზე და, საერთოდ, გააგრძელებდა თუ არა იგი თავის სპორტულ კარიერას, ეს საკმაოდ დიდხანს გაურკვეველი იყო; მაგრამ, საბოლოოდ, რუსუდანი დაჰყვა ამ სახეობის მესვეურთა თხოვნას და გერმანიიდან ხელდამშვენებული დაბრუნდა — უძლიერესი აღმოჩნდა სინქრონულ ხტომებში. მართალია, ანა დოლონაძე მეოთხე იყო, ხოლო ზაზა აბრამაშვილი მერვე, მაგრამ რ. ხოფერიასთან ერთად მათაც გადაეცათ ოქროს მედლები, როგორც საკავშირო გუნდის წევრებს, რომელმაც I ადგილი დაიკავა.

შემთხვევითი, მაგრამ კანონზომიერი შეიძლება ვუწოდოთ ქართველი ხამბისტების მიერ მოპოვებულ 5 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალს საფრანგეთში, მარტინის საერთაშორისო ტურნირზე. ჩვენი სპორტსმენები ტულუზაში გაემგზავრნენ ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად და იქ შემთხვევით გაიგეს, რომ მარტინში ტარდებოდა ამგვარი ტურნირი, რომელზეც ჩვენი ფალავნები, მასპინძელთა მეცადინეობით, გამონაკლისის წესით დაუშვეს და აკი გაამართლეს — 7 მედალი მოიგეს, რამაც საქართველოს ნაკრებს გუნდური I ადგილიც მოუტანა. არადა, საქართველოს ლირსებას მხოლოდ 5 სპორტსმენი იცავდა: მურთაზ თურქია, გია ნაცვლიშვილი, თემურ შეთეკაური, ჯემალ მჭედლიშვილი და გელა ბერუაშვილი.

თბილისელმა სპორტულმა ტანმოვარჯიშემ სოფიკო მანაგაძემ ჯერ კიდევ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გააოცა სპეციალისტები და გულშემატკივრები: ტრავმირებული, რამდენიმე თვის უვარჯიშებელი, მისივე დაჟინებული თხოვნით ჩართეს გუნდში და არც გაუწბილებია ნაკრების ხელმძღვანელები. როცა მისგან ამას არავინ ელოდა, ყველა ზარისხის მედალი მოიპოვა სხვადასხვა ვარჯიშში და გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა. ახლაც ლევერკუზენის (გერმანია) თასის გათამაშებაში სოფიკო საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრებში: ხტომებში I ადგილზე გავიდა, თავისუფალ ვარჯიშში I ადგილი გაიყო რუმინელ და ამერიკელ სპორტსმენებთან, ძელზე კი III იყო. საბოლოოდ, აბსოლუტურ პირველობაში 88,3 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრები III ადგილზე გავიდა.

გარდა საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული წარმატებებისა, ჩვენს სპორტსმენებს არც საკავშირო შეჯიბრებებში მოსცარვიათ ხელი. მაგალითად, წყალბურთელ ქალთა გუნდმა თბილისის „ივერიამ“ II ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ძიუდოისტ ქალთა რესპუბლიკის ნაკრები, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში III ადგილზე გავიდა, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ქართველმა [illegible] „კავკასიონის თასის“ გათამაშებაში.

ნოემბერში საქართველოს სპორტული ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ქართული ჭიდაობის II საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც, მართალია, ხარვეზები ახლდა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ეს გამოუცდელობის ბრალი იყო და სამომავლოდ ყველა პრობლემა გადაიჭრება. შეგახსენებთ, რომ ტურნირის ფალავანი გახდა ზესტაფონელი გიორგი გაჩეჩილაძე.

დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და თასის გათამაშება ფეხბურთში. თამამად შეიძლება ითქვას, პირველმა საფეხბურთო სეზონმა ჭაამართლა მოლოდინი — ქართული ფეხბურთი არც ისე უმწეო, „ხელით სატარებელი“ ყოფილა, როგორც ამას მავანნი გვიკიჟინებდნენ. ჩემპიონობა თბილისის „იბერიამ“ მოიპოვა, ხოლო თასს ლანჩხუთის „გურია“ დაეუფლა. პირველმა დამოუკიდებელმა ნაბიჯებმა გვიჩვენა, რომ ქართულ ფეხბურთს ძალუძს სხვისი მეურვეობის გარეშე არსებობა და, ვიმედოვნებთ, შორს არ არის ის დღე, როცა ქართული ფეხბურთი შეაღებს საერთაშორისო ფედერაციების ჯერჯერობით დახშულ კარებს.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# ყველაზე ხანგრძლივი

კასპაროვ-კარპოვის მეთექვსმეტე პარტია, რომელიც 102-ე სვლამდე გაგრძელდა, ამ მოჭადრაკეების შეხვედრების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამავე დროს მან შეწყვიტა ყაიმების სერია — გავიხსენოთ, რომ ასეთი შედეგით დასრულდა ბოლო 8 პარტია.

როგორც დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, კასპაროვის განკარგულებაში იყო მატერიალური უპირატესობის (ზედმეტი ხარისხი) რეალიზაციის ნათელი გეგმა. ამისათვის კასპაროვის მეფე მეტოქის განლაგებაში ღრმად უნდა შეჭრილიყო და თავისი შავი ოპონენტი დაფის კიდესთან მიემწყვდია. ერთი სიტყვით, კასპაროვმა გააკეთა ის, რაც პარტიის პირველი დამთავრებისას ვერ მოახერხა. მისი მეფის, ეტლისა და კუს შეთანხმებული მოქმედებით კარპოვი უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა და დანებდა კიდეც.

ანგარიში გახდა 8,5:7,5 კასპაროვის სასარგებლოდ. საინტერესოა, რომ ამ მეტოქეთა ხუთივე მატჩში, როგორც სტატისტიკოსებმა გაგვახსენეს, არც ერთი მეთექვსმეტე პარტია საყაიმო შედეგით არ დამთავრებულა.

ამრიგად, გასრულდა მატჩის ორი მესამედი. ჯერ, რა თქმა უნდა, წინ დიდი ბრძოლაა, თუმცა უკვე შეიძლება ჩემპიონის გარკვეულ უპირატესობაზე ლაპარაკი. კარპოვი, ცხადია, გააგრძელებს მედგარ წინააღმდეგობას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერმა „მეფისტომ“ აღმოაჩინა ის, რაც ექსპერტებს გამორჩათ — ექსჩემპიონს ეტლის მანევრით შეეძლო წინა, მეთხუთმეტე პარტიის მოგება.

ერთი სიტყვით, მატჩის უკანასკნელი მესამედი მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს.

# ერთმა ოსტატმა „გაბედა“...

უკანასკნელ წლებში თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებში საკმაოდ სუსტი შემადგენლობა იყრის თავს. ქალაქის ჩემპიონობას წამყვანი მოჭადრაკეების დიდი ნაწილი რატომღაც არ თვლის პრესტიჟულად.

წლევანდელ, 62-ე ჩემპიონატში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო, მონაწილეობა მხოლოდ ერთმა ოსტატმა — იური ჩიქოვანმა „გაბედა“. აი, დანარჩენ მოჭადრაკეებს კი „არას ვერჩით“ — ისინი ძლიერი ოსტატობის კანდიდატები არიან.

მონაწილეთა შორის ერთი გოგონაა — ოსტატობის კანდიდატი იამზე თვაური.

კენჭისყრამ მონაწილენი ასეთი თანმიმდევრობით „განალაგა“. 1. ირაკლი ღვამიჩავა, 2. დავით ტიკურიშვილი, 3. იანის პოპოვი, 4. ალექსი ლაზარიშვილი, 5. იური ჩიქოვანი, 6. ბესიკ სხილაძე, 7. ვასილ ვაშაკიძე, 8. დავით პაქსაშვილი, 9. ემილ მიქაელიანი, 10. ფილიპ პირაევი, 11. იამზე თვაური, 12. თემურ გათიკოევი, 13. იური ნეჩაევი, 14. ნოდარ გოგაძე, 15. პაატა ვაშაკიძე, 16. რომან სიჭინავა.

გაიმართა I ტურის შეხვედრები: პოპოვი-გოგაძე 1:0, ლაზარიშვილი-ნეჩაევი 1:0, ტიკურიშვილი-პ. ვაშაკიძე 0:1, პაქსაშვილი-მიქაელიანი 0:1, ღვამიჩავა-სიჭინავა 0,5:0,5, ვ. ვაშაკიძე-პირაევი 0,5:0,5, სხილაძე-თვაური 0,5:0,5. გადაიდო ჩიქოვან-გათიკოევის პარტია.

დებულების თანახმად, თბილისის ჩემპიონს უფლება ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პირველობაში (უმაღლესი ლიგა), II-IV ადგილების მფლობელები საქართველოს პირველობის პირველ ლიგაში იასპარეზებენ, ხოლო V-IX ადგილზე გასულნი — საქართველოს პირველობის I ლიგის შესარჩევ ტურნირში.



# „შპიგელი“: ინტერვიუ კასპაროვთან და კარპოვთან

**● მსოფლიო პირველობაზე ჩატარებული თქვენი ოთხი მატჩის საპრიზო ფონდიდან თანხის რა პროცენტი გადაურიცხეთ სახელმწიფოს?**

**კასპაროვი:** ეს უბრალო კითხვაა, მაგრამ მასზე პასუხის გაცემა მეტად რთულია. ორ უკანასკნელ მატჩზე საპრიზო თანხა შვეიცარიული ფრანკებით იყო დაწესებული, მაგრამ პრიზის მცირე ნაწილს ვალუტით გვიხდიდნენ, გაცილებით დიდ ნაწილს კი — მანეთებით. ლონდონში 1986 წელს ჩატარებული მატჩის საპრიზო ფონდი მთლიანად ჩერნობილის ფონდს გადავეცით, მაგრამ ამ თანხის დიდმა ნაწილმა იქამდე ვერ მიაღწია, სადღაც გზაში გაქრა.

**კარპოვი:** გარი ამ შემთხვევაში მართალია. ამ თანხამ მთლიანად როდი მიაღწია დანიშნულების ადგილამდე.

ჩვენ ორისაგან განსხვავებით, სპორტკომიტეტმა სრულიადაც არ მოისურვა პრიზის ის ნაწილი, ჩვენგან რომ მიიღო, ჩერნობილის ფონდში გადაერიცხა. იგი გაცილებით უარესადაც კი მოიქცა. ყურს არ დავუჯერე, როცა დამირეკა სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გავრილინმა და მითხრა: „თუკი თქვენ და კასპაროვი უარს ამბობთ პრიზზე ჩერნობილის ფონდის სასარგებლოდ, მაშინ ჩვენ ნაკლებ თანხას ჩავწერთ იმასთან შედარებით, თქვენ რომ მიიღეთ“. როცა ვთხოვე განემარტა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, მან მითხრა — თქვენ ხომ თანხაზე უარს ამბობთ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, სპორტკომიტეტი რამდენს იტოვებსო.

**● ყოველივე ეს იმდენად დაუჯერებელია, რომ გამეორება მომიხდება: ჩერნობილის მსხვერპლმა ადამიანებმა ნაკლები თანხა მიიღეს, ვიდრე მიიღებდით თქვენ, რომლებმაც იგი თამაშით დაიმსახურეთ, და თქვენი საკუთრებაც იქნებოდა, ჩერნობილის ფონდში რომ არ გადაგერიცხათ?**

**კარპოვი:** დიახ, ეს ნამდვილად ასე მოხდა. მე მაშინ გავრილინს ვუთხარი — ველოდი, რომ სპორტკომიტეტი იმ თანხასაც, ჩვენ რომ მივეცით, ჩერნობილის ფონდში გადარიცხავდა-მეთქი. მაგრამ მან ნამდვილად ვერ გამიგო და თვითონაც ვერაფერს მიხვდა.

**● როგორი უნდა იყოს გადასახადი სპორტსმენებისათვის, რომელიც თქვენ სამართლიანად გესახებათ?**

**კასპაროვი:** გადასახადი, რომელიც 50 პროცენტს აღემატება, მე უსამართლოდ მიმაჩნია. გავეცანი ერთ გამოკვლევას, სადაც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირში ნებისმიერი გადასახადი, რომელიც 35 პროცენტს აღემატება, ხაზინას კი არ ამდიდრებს, არამედ აღარიბებს, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანები აშკარად ცდილობენ თავი აარიდონ გადასახადებს. ამიტომ, მე ვფიქრობ 35 პროცენტი გადასახადი ნორმალურია.

**● დააბანდებდით თუ არა ფულს საბჭოთა ეკონომიკაში?**

**კარპოვი:** მანამდე, სანამ ყველაფერს განაგებენ პირები, რომლებიც პატიოსან ადამიანებს ართმევენ ფულს, თითქოს ისინი ქურდები იყვნენ, ასეთ შესაძლებლობას ვერ ვხედავ.

**● ბატონო გარი, კარპოვი ამბობს, რომ თქვენ ყოველთვის როდი ამბობთ სიმართლეს. შეგიძლიათ თუ არა, მეტოქე იგივეში დაადანაშაულოთ?**

**კასპაროვი:** დიახ, საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას კარპოვი ამტკიცებდა, რომ მე საბჭოთა პროფკავშირებისაგან ვიღებ დახმარებას დღეში 500 მანეთის ოდენობით. ეს საშინლად დაუსაბუთებელი განცხადებაა, თანაც იმ ქვეყანაში, სადაც სიღატაკის ტალღები აზვირთებულა და ბევრი თვეში 60-70 მანეთით არსებობს. ეს თანხა მათ მხოლოდ იმისთვის ჰყოფნით, რომ, უბრალოდ, შიმშილით არ მოკვდნენ.

**კარპოვი:** სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში ყველაფრის დოკუმენტირება როდი ხდება. კერძოდ, პროფკავშირების მიერ გადახდილი თანხა ყოველთვის როდი აღირიცხება.

**კასპაროვი:** მე კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს პროფკავშირებისაგან ფულს ვიღებდე, სხვა არა არის რა, თუ არა სიცრუე.

**კარპოვი:** მე ასეთი ინფორმაცია მაქვს.

**კასპაროვი:** კარპოვი ცდილობს შემილახოს რეპუტაცია საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ, როცა ისეთ ადამიანად წარმომადგენს, რომელიც სიტყვიერად ამხელს იმ პრივილეგიებს, რომელიც საბჭოთა კავშირში სხვებს აქვთ, თვით კი ამ პრივილეგიებით სარგებლობს.

ფრთხილად!

# მოდით, ნუ გავწირავთ...

ზურაბ მაჭავარიანი საქართველოს სპორტსაზკომმა 1988 წელს დანიშნა დასავლეთ საქართველოს ზონის კონსულტანტ-ინსპექტორად ჭადრაკში. პარალელურად იგი ვანის საჭადრაკო სკოლა „არგოს“ ხელმძღვანელობდა და ამ ზონაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებაც ჰქონდა.

ბევრი გაკეთდა მისი შემწეობით დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ვანში, ჭადრაკის განსავითარებლად. ბუნებრივია, ჯერჯერობით მრავალადაა სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემებიც; არის წარმატებებიც, თუმცა, უმჯობესია მათ შესახებ თავად ბატონმა გურამმა მოგვითხროს: „ვანის საჭადრაკო სკოლას 1987 წლიდან ჩავუდექი სათავეში. მისვლისთანავე რაიონის თხუთმეტამდე სოფელში გავხსენით ჭადრაკის სექციები. სულ 250 ბავშვმა დაიწყო ჭადრაკში მეცადინეობა. სკოლა და მისი სასოფლო სექციები ფინანსურად რომ მოგვემძლავრებინა, ვანის სქემური კაბელების საწარმოს დირექციას (დირექტორი გია გოგოძე) ვთხოვეთ დახმარება და გაგვიმართლა: იგი ყოველწლიურად 30000 მანეთს გვირიცხავდა. ეს საწარმო საკავშირო დაქვემდებარებისაა. გარკვეული მიზეზის გამო მათ ხელი აიღეს ჩვენს დაფინანსებაზე და დღეს მეტად გვიჭირს. არც რაიონის ხელმძღვანელები გვეხმარებიან. აღმასკომის თავმჯდომარე ბადრი მებურიშვილი არათუ მატერიალურ დახმარებას არ გვპირდება, მორალურადაც კი არ გვიჭერს მხარს. წარმატებები კი, საბედნიეროდ, გვაქვს — ვანში ახლა 6 ოსტატობის კანდიდატი და 16 პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეა. იქნებ ამ ციფრებმა ვერ გააკვირვოს დიდ გამარჯვებებს შეჩვეული ჭადრაკის ქართველი გულშემატკივრები, მაგრამ, მერწმუნეთ, ციფრებს მიღმა საკმაოდ პერსპექტიული, ნიჭიერი და იმედის მომცემი ნორჩი მოჭადრაკენი დგანან.

ერთი სიტყვით, თუ მხარდაჭერა გვექნება, დაგვიჯერეთ, ეს ბავშვები დიდ საჭადრაკო შეჯიბრებებშიც გვასახელებენ. მოდით, ნუ გავწირავთ ჩვენი ჭადრაკის კიდევ ერთ კერას!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მინიფეხბურთის ასოციაცია მსოფლიო ასოციაციაში გაერთიანდება

**მინიფეხბურთი** სულ უფრო პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში. ეს ალბათ იმითაცაა გამოწვეული, სპორტის ეს სახეობა ხელმისაწვდომია ყველასათვის. საქართველო დღეს მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვში შედის, სადაც ამ თამაშმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. მინიფეხბურთს დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ადამიანების გაჯანსაღებაში, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებაში. დრომ მოიტანა და დღის წესრიგში დადგა მინიფეხბურთში რესპუბლიკური ასოციაციის შექმნის საკითხი. ამ ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდა წლეულს, 28 სექტემბერს. კონფერენციამ ასოციაციას ადგილსამყოფელი ფოთში მიუჩნია, დამტკიცებულია დროებითი წესდება. ასოციაცია ამჟამად აერთიანებს მოყვარულთა ათზე მეტ კლუბს (ჭიათურა, რუსთავი, ოზურგეთი, შრომა, ნატანები, ქვემო ბახვი, კობულეთი, ქუთაისი, ფოთი და სხვა).

ასოციაცია პრაქტიკულ მუშაობას უკვე შეუდგა. 27 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით ოზურგეთის რაიონის სოფ. ნატანებში მოეწყო საქალაქთაშორისო ტურნირი. ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებას დიდად შეუწყო ხელი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გივი წითლიძემ. შეჯიბრებამ გვაჩვენა, რომ საქართველოში შეიძლება შეიქმნას ნაკრები, რომელსაც უნარი შესწევს წარმატებით დაიცვას საქართველოს სახელი ნებისმიერი რანგის ასპარეზობაში. ნატანების ტურნირში პირველი ადგილი ფოთელებმა დაიკავეს, მეორე იყვნენ მასპინძლები, მესამე —ჭიათურის წარმომადგენლები.

მინიფეხბურთის რესპუბლიკური ასოციაცია აცნობებს ქალაქებსა და რაიონებს, რომ 1991 წლის მარტში დაგეგმილია მოყვარულთა საქართველოს პირველობა და მოუწოდებს ორგანიზაციებს, ცალკეულ პიროვნებებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მინიფეხბურთის მოყვარულთა რეგიონალური კლუბების ჩამოყალიბებაში.

ამასთან, ასოციაცია ფართო საზოგადოებრიობას აცნობებს, რომ დაწყებულია მოლაპარაკება მსოფლიო ასოციაციაში საქართველოს წარმომადგენელთა გაერთიანების თაობაზე. ეჭვს არ იწვევს, რომ საკითხი უახლოეს დროში (არა უგვიანეს 1991 წლის I კვარტალისა) დადებითად გადაწყდება. სამწუხაროდ, მინიფეხბურთის საქართველოს ასოციაციას ჯერჯერობით ძალზე უჭირს ფინანსურად, დღეს მას 500 დოლარიც კი არ გააჩნია, მსოფლიო ასოციაციაში შესატანად, გაწევრიანების საქმე მხოლოდ ამის გამო ფერხდება.

ვთხოვთ წარმოება - დაწესებულებებს, ცალკეულ ორგანიზაციებს, კოოპერატივებს შესაძლებლობის ფარგლებში, ვალუტის სესხად გადმოცემით მაინც, გაგვიწიონ დახმარება. დაგვიკავშირდით ტელეფონით: ფოთი, 5-35-29 ან აცნობეთ „ლელოს" რედაქციას. საბჭოთა ფულზე ასოციაციის ანგარიშია: ფოთი, „მრეწვმშენბანკი" № 700002.

**ნოდარ წულაია,**
ასოციაციის პრეზიდენტი.



**მოსკოვი.** სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში დამარცხდა საფრანგეთის გუნდთან ანგარიშით 84:85 (44:44) და, ფაქტობრივად, დაკარგა ფინალში გასვლის შანსი, თუმცა... თეორიული შანსი ჯერ კიდევ რჩება.

## ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ფინალში მონაწილეობა საეჭვოა

საქმე ისაა, რომ ფრანგებმა მეოთხე შესარჩევ ჯგუფში დააგროვეს 10 ქულა. ისინი ფინალში არიან. საბჭოთა კალათბურთელებმა ტურნირი 9 ქულით დაამთავრეს და ახლა დაელოდებიან ისრაელისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა შეხვედრის შედეგს (ეს მატჩი თელავივში გაიმართება).

ისრაელის გუნდს, შეიძლება ითქვას, ალარაფერი შველის. გამარჯვების შემთხვევაში, ისიც 9 ქულას აგროვებს, მაგრამ საბჭოთა ნაკრებთან ურთიერთშეხვედრაში უარესი ბალანსი აქვს (მინუს 27) და ყველა შემთხვევაში „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდება, ე. ი. ისრაელის კალათბურთელებს ჩეხებთან მატჩში არავითარი სტიმული არ ექნებათ.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები კი, პირიქით, გამარჯვების შემდეგ 9 ქულას დააგროვებს და საბჭოთა კალათბურთელებთან უკეთესი ბალანსის წყალობით (პლიუს 6) ფინალში გავა.

აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი ბოლო მატჩის წინ:

| | ჩ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 10 |
| სსრ კავშირი | 6 | 3 | 3 | 9 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 2 | 3 | 7 |
| ისრაელი | 5 | 2 | 3 | 7 |

## 7 გოლი ახალ კარებში

საფრანგეთის ქალაქ ტარბში გაიმართა ექსპერიმენტული შეხვედრა ფეხბურთში. ამ მატჩში დაიდგა იმ ზომის საფეხბურთო კარები, რომელსაც გვთავაზობს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია: სიგანით 775 სანტიმეტრი, სიმაღლით — 260, (შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის კარის ზომები 1866 წლიდან ასეთია: 732X244 სმ).

ამ ექსპერიმენტულ მატჩში „ტულუზა" შეხვდა საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთის ნაკრებს, თამაში დამთავრდა „ტულუზას" გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

ტულუზელთა მეკარემ რობენ იუკმა თამაშის შემდეგ განაცხადა:

— ახალი კარის ზომები განსაკუთრებით საგრძნობია საჯარიმო დარტყმების დროს.

• • •

**დამთავრდა** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ორკვირიანი ტურნე კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში. საბჭოთა ფეხბურთელებმა ოკეანის გაღმა 4 მატჩი ჩაატარეს. აი მათი შედეგები: აშშ-ის ნაკრებთან — 0:0, ტრინიდადისა და ტობაგოს გუნდთან — 2:0 (1:0), კოსტარიკის „საპრისას" კლუბთან — 5:3 (4:1) და გვატემალის ნაკრებთან — 3:0 (3:0).

სულ მალე, 9 დეკემბერს, ნაკრებს კიდევ ერთი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ექნება მიუნხენში იქაურ „ბაიერნთან".

## მოკლედ

რამდენიმე თვეს მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთის 1990 წლის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც იასპარეზეს ცხინვალის, ზნაურის, ჯავის, ახალგორისა და ცხინვალის რაიონის ნაკრებმა გუნდებმა. ასპარეზობა ორ წრედ ჩატარდა. პირველი ადგილი და ოლქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ცხინვალის რაიონის ფეხბურთელთა ნაკრებმა, მეორე ადგილზე გავიდა ზნაურის გუნდი, მესამეზე—ჯაველი სპორტსმენები.

**ნიკოლოზ დემურიანცი**



## უშუს გაითავისეს

**სპორტის** კიდევ ერთი ახალი სახეობა ხდება პოპულარული ჩვენს რესპუბლიკაში — ადრე მხოლოდ აზიელთათვის „განკუთვნილ", მხოლოდ მათთვის ხელმისაწვდომი უშუ.

საქართველოს წარმომადგენლებმა უკვე არაერთ ტურნირში იასპარეზეს და აი, მორიგი წარმატებაც — რიგაში გამართულ უშუისტთა საერთაშორისო ფესტივალში — „რიგა-90" უცხოეთისა და საბჭოთა კავშირის 30 ქალაქის გუნდების გარდა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტთან" არსებული უშუს სკოლის „მარტვეს" წარმომადგენლები: კოკა ზათიაშვილი, მალხაზ ტატუნაშვილი, ალექსანდრე სულიაური, ლევან ბექაური, კობა კვარაცხელია, ზურაბ დოლიძე, როლანდ ცნობილაძე და ნოდარ ქავთარაძეც მონაწილეობდნენ.. ჩვენმა სპორტსმენებმა ოთხი დღის განმავლობაში ხუთი საჩვენებელი გამოსვლა გამართეს — წარმოადგინეს აღმოსავლური ორთაბრძოლების არაერთი ელემენტი — იარაღების ფლობის ოსტატობა, უიარაღო და კომბინირებული ორთაბრძოლები და სხვა. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში ჩინეთის, ვიეტნამის, კანადისა და დანიის წარმომადგენლები შედიოდნენ, ფესტივალის მთავარი პრიზი ვიეტნამელებთან ერთად უშუს ქართველ ოსტატებსაც გადასცა.

**რაჟდენ ბაბრიშიძე**

სურათებზე: რუსთაველ უშუისტთა გუნდი.

## ქალთა ჩემპიონატი

**1991 წლიდან** გაიმართება სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა ფეხბურთში, შეიქმნა უმაღლესი და პირველი ლიგები, თითოეული 24 გუნდის შემადგენლობით. საკავშირო პირველობის ჩატარება დაეკისრა ქალთა ფეხბურთის საკავშირო ასოციაციას. შედგა შესაბამისი დებულებაც. შეჯიბრების ჩატარების კონტროლი ევალება ფეხბურთის ფედერაციის ქალთა კომიტეტს.

## ყველაზე ძვირფასი ტურნირი

**მიუნხენი.** როგორც ცნობილია, „დიდი მუზარადის" თასის გათამაშებაში, რომელიც უნდა დაიწყოს აქ 11 დეკემბერს და რომლის საპრიზო ფონდი 6 მილიონ დოლარს შეადგენს (გამარჯვებული მიიღებს მანამდე არნახულ ჰონორარს—2 მილონ დოლარს) მონაწილეობას არ მიიღებენ ბორის ბეკერი და ჯონ მაკინ-როუ. ახლა მათ დაემატათ ამას წინათ ტრავმირებული მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ანდრე აგასი. მას ალბათ ბრედ ჯილბერტი შეცვლის. სამაგიეროდ ორგანიზატორთა განცხადებით ასპარეზობაში გამოვა „დიდი მუზარადის" წლევანდელ ტურნირში გამარჯვებული ოთხივე ჩოგბურთელი, სახელდობრ ივან ლენდლი, ანდრეს გომესი, სტეფან ედბერგი და პიტ სამპრასი. სხვათაშორის, „დიდი მუზარადის" თასის გათამაშებაში დაშვებულია ავსტრალიისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატების მეოთხედფინალისტი, უფელი ანდრეი ჩერკასოვი.

## „ფორბსის" მილიონერები

**ჯერ** მხოლოდ ინფორმაცია, მერე კი მისი მოკლე კომენტარი. ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა იმ 30 სპორტსმენის სია, რომლებსაც 1990 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ჰონორარი აქვთ მიღებული (გთავაზობთ მხოლოდ ათი ყველაზე მდიდარი სპორტსმენის გვარს):

1. მაიკ ტაისონი (კრივი) — 28,6 მილიონი
2. ბასტერ დუგლასი (კრივი) — 26
3. რეი ლეონარდი (კრივი) — 15
4. აირტონ სენა („ფორმულა 1") — 10
5. ალენ პროსტი („ფორმულა 1") — 9
6. ჯეკ ნიკლაუსი (გოლფი) — 8,6
7. გრეგ ნორმანი (გოლფი) — 8,5
8. არნოლდ პალმერი (გოლფი) — 8,1
9. მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი) — 8,1
10. ევანდერ ჰოლიფილდი (კრივი) — 8,1.

როგორც ხედავთ, უმდიდრეს სპორტსმენთა პირველ ათეულში ოთხი მოკრივეა, ორი ავტომრბოლი, ერთი კალათბურთელი და სამი გოლფის მოთამაშე. ამ ათეულს უშუალოდ ემიჯნება ორი ჩოგბურთელი — ბორის ბეკერი (მეთერთმეტე ადგილი) და შტეფი გრაფი (მეცამეტე). პირველის შემოსავალი ჯერჯერობით 7,2 მილიონ დოლარს შეადგენს, მეორისა კი 6,1 მილიონს. ოცდაათ უმდიდრეს სპორტსმენთა სიაშია კიდევ ერთი ჩოგბურთელი — გაბრიელა საბატინი, რომელსაც თავისი 4,5 მილიონი დოლარით 22-ე ადგილი უკავია.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. სპორტის წმინდა ამერიკული სახეობების წარმომადგენლები ამ სიაში საკმაოდ მოკრძალებულად არიან წარმოდგენილნი. ასე მაგალითად, კეტბურთელი ხოსე კანსეკო 6 მილიონი დოლარით მხოლოდ მეთოთხმეტეა, ამერიკული ფეხბურთის აღიარებული „ვარსკვლავი" ჯო მონტანა კი 3,4 მილიონი დოლარით — 34-ე.

ფეხბურთის უდიდესი პოპულარობის მიუხედავად, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები მოკრივეებისა და ავტომრბოლებისგან განსხვავებით საკმაოდ „მცირე" ჰონორარებით კმაყოფილდებიან. დიეგო მარადონას წლიური შემოსავალი, მაგალითად, მხოლოდ 5 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ მონაცემით სიაში იგი მეცხრამეტეა. მასზე ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვს ცნობილ ჰოკეისტს უეინ გრეცკის, რომლის 6-მა მილიონმა იგი მეთხუთმეტე ადგილზე გაიყვანა. მსოფლიოს 30 უმდიდრეს სპორტსმენთა სიაში არიან სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც, მათ შორის, პროფესიულიველოსპორტის „ვარსკვლავი" გრეგ ლემონდი — 4,2 მილიონი დოლარი (26-ე ადგილი).

ეს სია, როგორც წესი, ყოველ წელს იცვლება იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ აწყობს თავის ფინანსურ საქმეებს. 1990 წლის შედეგების მიხედვით, ჟურნალ „ფორბსის" ლაურეატთა (30 მილიონერის) საერთო შემოსავალი 250 მილიონ დოლარს შეადგენს. მაგრამ სეზონი ჯერ არ დამთავრებულა და ადვილი შესაძლებელია, სია ერთგვარად შეიცვალოს.

## მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩნენ

**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ ჩვენი ჭაბუკი ფალავნები ყოველ შეჯიბრებაზე ამტკიცებენ, რომ მათი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. ეს ეხება როგორც გუნდურ, ისე პირად ასპარეზობებს.

ახლახან ლენინგრადში ჩატარდა ტრადიციული ტურნირი ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის (1974-1976 წლებში დაბადებულნი). აქ 250-მდე მონაწილემ მოიყარა თავი. ჩვენი რესპუბლიკიდან იასპარეზეს ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტკლუბ „ლოკომოტივის" ჭიდაობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა. ნორჩმა ფალავნებმა თავი არ შეირცხვინეს, არ გააწბილეს თავიანთი სპონსორი — № 23 სამშენებლო ტრესტი (მმართველი გოგლა არაბული) და მასპინძელთა შემდეგ გუნდურ მეორე ადგილზე გავიდნენ.

ტურნირზე პირველი ადგილები დაიკავეს: 50 კგ წონით კატეგორიაში გიგა გოჩელაშვილმა და მძიმეწონოსანმა ვანო არაბულმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ა. გიორგაძე (68), ა. მუხიგულაშვილი (65) და რ. ბალაშვილი (74).

სპეციალური პრიზი გადასცეს თბილისელ ვანო არაბულს. ჭიდაობის მოყვარულებს ახსოვთ ამ ჭაბუკის შესანიშნავი გამოსვლა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. ამჯერადაც მან ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო.

## წასვლა ამჯობინა

**ცნობილმა** ავსტრიელმა სამთომოთხილამურემ ჰანს ენმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: 32 წლის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი სტოვებს სპორტს და „მშვიდობიან ცხოვრებას" იწყებს.

ახლა ჩემთვის სპორტულ წარმატებებზე უფრო მნიშვნელოვანი ჯანმრთელობა და ოჯახის კეთილდღეობაა, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ზალცბურგელმა მოთხილამურემ.

ჰანს ენმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ, რომელიც გაურთულდა შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატი ერთი გუნდისათვის



ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში, გამოცხადდა, რომ „პროტოტიპების" კლასში წარმატების მიუხედავად, „საუბერ-მერსედესში" მოსალოდნელია ცვლილებები. ასეც მოხდა — ირლანდიელი კენი ეჩისონი მიიწვია „ნისანმა"; პირველი წყვილი გახდა ჟან-ლუი შლესერი — მაურო ბალდი; გერმანელებმა იოჰენ მასმა, მიხაელ შუმახერმა, ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენმა და ავსტრიელმა კარლ ვენდლინგერმა შეადგინეს ექსპერიმენტული წყვილები (პილოტები სულ ახლახან „ფორმულა-3" კლასში ასპარეზობდნენ და არცთუ ურიგოდ).

წელს ასპარეზობა ჩატარდა იაპონიაში, ევროპასა და ამერიკაში. რბოლა მოეწყო 480 კმ სიგრძის მანძილზე, „24-საათიანი რბოლა" კი არაოფიციალურად გამოცხადდა.

8 აპრილს იაპონიაში, „სუძუკას" ტრასაზე, გათამაშდა ჩემპიონატის პირველი ეტაპი.

პირველი გამარჯვება იზეიმა შლესერ-ბალდის წყვილმა. 82 წრე მათ გაიარეს 2 საათში, 4 წუთსა და 45,42 წამში (საშუალო სიჩქარე საათში 176,03 კილომეტრი). ფინიშთან მეორე იყო „საუბერ-მერსედესის" მეორე წყვილი (მასი-ვენდლინგერი). მესამე ადგილი დაიკავა „ნისანმა" (ჰაზემი-ოლაფსონი), მეოთხე — „ტოიოტამ" (ლიში ოგავა), მეხუთე — „კრემერ-პორშემ" (ტაკაჰაში-მოგი), მეექვსე — „ბრუნ-პორშემ" (ჰაისმანი-ლარაული).

ტრასის რეკორდი დაამყარა მარტინ ბრანდლმა (ინგლისი, „სილქ ქათ იაგუარი") — 1 წუთი, 53,73 წამი (საშუალო სიჩქარე საათში 185,48 კილომეტრი).

29 აპრილს იტალიაში, „მონცას" ტრასაზე, გათამაშდა ფილიპო კარაჩოლოს სახელობის 23-ე „გრან პრი".

საკვალიფიკაციო რბოლებში საუკეთესო დრო აჩვენეს ჟან-ლუი შლესერმა-მაურო ბალდიმ (საფრანგეთი, იტალია, „საუბერ-მერსედესი") — 1 წუთი და 29,165 წამი (საშუალო სიჩქარე საათში 234,173 კილომეტრი). მათ ერთი წამით ჩამორჩნენ იოჰენ მასი-კარლ ვენდლინგერი (გერმანია, ავსტრია „საუბერ-მერსედესი"). სასტარტო ბილიკზე მესამე-მეოთხე პოზიციები დაიკავეს „სილქ ქათ იაგუარის" მეორე (ლამერსი-უოლესი) და პირველმა (ბრანდლი-ფერტეა) ეკიპაჟებმა. მეხუთენი იყვნენ ბობ ვოლეკი—ფრანკ იელინსკი (საფრანგეთი, გერმანია, „ჯოესტ პორშე 962"), მეექვსე — მარკ ბლანდელი-ჯანფრანკო ბრანკატელი (ინგლისი, იტალია, „ნისან-მოტოსპორტი").

ერთ-ერთ რთულ მოსახვევთან, რომელსაც „ლესმო" ეწოდება, კატასტროფაში მოჰყვა „ტოიოტა", რომელსაც მართავდნენ ჯონი დამფრიზი-რობერტო რავალია (ინგლისი, იტალია).

სტარტიდან ფინიშამდე არავინ გაუშვა წინ შლესერ-ბალდის დუეტმა. იოჰენ მასმა ტრასის რეკორდი დაამყარა — 1 წუთი და 33,46 წამი. რბოლის საბოლოო შედეგი: 1. ჟან-ლუი შლესერი-მაურო ბალდი (საფრანგეთი, იტალია, „საუბერ-მერსედესი") — 82 წრე (480 კმ) 2 საათში, 17 წუთსა და 11,735 წამში (საშუალო სიჩქარე საათში 210,532 კილომეტრი); 2. იოჰენ მასი—კარლ ვენდლინგერი (გერმანია, ავსტრია, „საუბერ-მერსედესი") — ჩამორჩა 17,613 წამით; 3. მარტინ ბრანდლი — ალენ ფერტე (ინგლისი, საფრანგეთი, „სილქ ქათ იაგუარი")— 26,394 წამით; 4. იან ლამერსი — ენდი უოლესი (ჰოლანდია, ინგლისი, „სილქ ქათ იაგუარი") — ჩამორჩა 1 წრით; 5. ბობ ვოლეკი — ფრანკ იელინსკი (საფრანგეთი, გერმანია, „ჯოესტ პორშე 962") 1 წრით; 6. ტომ ტეილორი — ერიკ ვან დერ პოელი (ინგლისი, ბელგია, „სპაის-ფორდი") ჩამორჩა 2 წრით.

ჩემპიონატის მესამე ეტაპი გათამაშდა 20 მაისს ინგლისში, „სილვესტოუნზე". საკუთარ ტრასაზე ვერავინ შეძლო „იაგუარის" დამარცხება.

მარტინ ბრანდლისა და ალენ ფერტეს ეკიპაჟმა 82 წრე გაიარა 2 საათში, 19 წუთსა და 39,467 წამში. მას ერთი წრით ჩამორჩა თანაგუნდელთა, იან ლამერსისა და ენდი უოლესის წყვილი.

3 ივნისს ბელგიაში, „სპას" ტრასაზე, გაიმართა მეოთხე ეტაპი. ამჯერად წარმატებით იასპარეზა „საუბერ-მერსედესის" მეორე, ექსპერიმენტულმა წყვილმა (მასი-ვენდლინგერი), რომელმაც 82 წრე დაფარა 2 საათში, 42 წუთსა და 92,880 წამში. მეორე ადგილი დაიკავა იან ლამერსისა და ენდი უოლესის დუეტმა („სილქ ქათ იაგუარი"), მესამე იყო ჯულიან ბეილი-კენი ეჩისონი (დიდი ბრიტანეთი, „ნისან-მოტო-სპორტი").

ოთხი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში დაწინაურდნენ იოჰენ მასი-კარლ ვენდლინგერი (21 ქულა). მესამე-მეოთხე ადგილი დაიკავეს ჟან-ლუი შლესერმა — მაურო ბალდიმ (18 ქულა). მეხუთე-მეექვსე — იან ლამერსი — ენდი უოლესი (15 ქულა).

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „საუბერ-მერსედესი" — 27; 2. „სილქ ქათ იაგუარი" — 19; 3-4. „სპაის-ფორდი", „ნისან-მოტოსპორტი" — 8-8 ქულა; 5. ჯოესტ პორშე"— 5; 6. კრემერ-პორშე" — 4 ქულა;

ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი გაიმართა 22 ივლისს, საფრანგეთში „დიჟონის" ტრასაზე, სადაც კვლავ იმარჯვა შლესერ-ბალდის დუეტმა. კარლ ვენდლინგერი ამჯერად შეცვალა მიხაელ შუმახერმა.

„დიჟონი": 1. ჟან-ლუი შლესერი — მაურო ბალდი (საფრანგეთი, იტალია, „საუბერ-მერსედესი") — 2 საათი, 39 წუთი და 03,603 წამი (საშუალო სიჩქარე საათში 182,044 კილომეტრი); 2. იოჰენ მასი — მიხაელ შუმახერი (გერმანია, „საუბერ მერსედესი") — ჩამორჩა 1 წრით; 3. ჯულიან ბეილი — მარკ ბლანდელი (ინგლისი, „ნისან-მოტოსპორტი") — ჩამორჩა 3 წრით.

19 აგვისტოს გერმანიაში, „ნიურბურგრინგზე" გათამაშდა გერმანიის საავტომობილო კლუბის („დოიჩე აუტო კლუბ") „გრან პრი".

„საუბერ-მერსედესმა" მეოთხე დუბლი შეასრულა საკუთარ ტრასაზე. შლესერ-ბალდიმ მოიგეს ე. წ. „სტარტი-ფინიში". მეორე იყო იოჰენ მასისა და მიხაელ შუმახერის დუეტი.

მარკ ბლანდელმა მთელი დისტანცია მარტომ დაფარა, რადგან ჯულიან ბეილიმ საკვალიფიკაციო რბოლა ვერ გაიარა და შეჯიბრებაზე არ გამოსულა.

„ნიურბურგრინგი": 1. ჟან-ლუი შლესერი — მაურო ბალდი (საფრანგეთი, იტალია) — 106 წრე 2 საათში, 39 წუთსა და 15,913 წამში (საშუალო სიჩქარე საათში 181,377 კილომეტრი); 2. იოჰენ მასი-მიხაელ შუმახერი (გერმანია) — ჩამორჩა 22,562 წამით (ორივე „საუბერ-მერსედესი"); 3. მარტინ ბრანდლი-ალენ ფერტე (ინგლისი, საფრანგეთი) — 1 წრით; 4. იან ლამერსი — ენდი უოლესი (ჰოლანდია, ინგლისი) — 1 წრით (ორივე „სილქ ქათ იაგუარი"); 5. მარკ ბლანდლი (ინგლისი, „ნისან-მოტოსპორტი") — 3 წრით; 6. ბობ ვოლეკი-ფრანკ იელინსკი. (საფრანგეთი, გერმანია „ჯოესტ პორშე") — ჩამორჩა 3 წრით.

მეშვიდე ეტაპი გაიმართა 2 სექტემბერს, ინგლისის „დონინგტონ პარკში", სადაც კვლავ საუკეთესონი იყვნენ შლესერ-ბალდი.

ფრანგულ-იტალიურმა წყვილმა „ჰეთ-ტრიკი" შეასრულა, საერთოდ კი მეხუთე გამარჯვება იზეიმა წლევანდელ ჩემპიონატში, რამაც „საუბერ-მერსედესს" ზედიზედ მეორედ მოუტანა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კონსტრუქტორთა პირველობაზე.

„დონინგტონ პარკში" მეორე ადგილი დაიკავა იოჰენ მასისა და ჰაინც ჰარალდ ფრენტცენის წყვილმა.

კანადაში, 23 სექტემბერს, ჟილ ვილნევის სახელობის ტრასაზე, გათამაშდა ჩემპიონატის მერვე ეტაპი. შედგა „პეჟო 905 პროტოტიპის" დებიუტი, რომელიც უიღბლო აღმოჩნდა. ჟან-პიერ ჟაბუისა და კეკე როსბერგის წყვილი დასაწყისშივე გამოეთიშა ასპარეზობას. მრავალრიცხოვანი კატასტროფების გამო რბოლა შეწყდა და ქულები ტრასაზე დაკავებული ადგილების მიხედვით განაწილდა. გაიმარჯვა კვლავ შლესერ-ბალდის წყვილმა. მეორე ადგილი დაიკავა ჯულიან ბეილისა და მარკ ბლანდელის (ნისან-მოტოსპორტი") ეკიპაჟმა, მესამე — მანუელ რეუტერმა (გერმანია), მეოთხე — ბერნდ შნაიდერმა (გერმანია, ორივე „ჯოესტ პორშე 962"). მეხუთე — კენი ეჩისონმა და ჯანფრანკო ბრანკატელიმ (ირლანდია, იტალია, „ნისან-მოტოსპორტი"), მეექვსე — ბობ ვოლეკმა და ფრანკ იელინსკიმ (საფრანგეთი, გერმანია, „ჯოესტ პორშე 962").

მექსიკაში, პედრო და რიკარდო როდრიგესების სახელობის ტრასაზე, 7 ოქტომბერს, კვლავ გამოვიდა საასპარეზოდ „პეჟო 905".

ასპარეზობა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. რბოლას სათავეში ჩაუდგნენ შლესერ — ბალდი, შემდეგ მასი — შუმახერი. ცოტა ხნით ლიდერობდნენ ბრანდლ-ფერტე, მაგრამ საბოლოოდ წარმატება ხვდა იოჰენ მასისა და მიხაელ შუმახერის წყვილს. შეჯიბრების წესების დარღვევის გამო „საუბერ-მერსედესის" პირველი ეკიპაჟის პილოტმა ჟან-ლუი შლესერმა დისკვალიფიკაცია მიიღო, რის შედეგადაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მაურო ბალდიმ.

1. იოჰან მასი — მიხაელ შუმახერი (გერმანია, „საუბერ-მერსედესი") — 109 წრე (488 კმ) 2 საათში, 47 წუთსა და 54,907 წამში (საშუალო სიჩქარე საათში 172, 190 კილომეტრი); 2. ჯულიან ბეილი — მარკ ბლანდელი (ინგლისი, ნისან-მოტოსპორტი") — ჩამორჩა 2 წრით, 3. ენდი უოლესი — ჯონ ჯოუნსი (ინგლისი, კანადა, „სილქ ქათ იაგუარი" — 2 წრით; 4. კენი ეჩისონი — ჯანფრანკო ბრანკატელი (ირლანდია, იტალია, „ნისან-მოტოსპორტი) — ჩამორჩა 3 წრით; 5. ჯონათან პალმერი — ჰანს იოაჰიმ შტუკი (ინგლისი, გერმანია) — 3 წრით; 6. ბობ ვოლეკი — ფრანკ იელინსკი (საფრანგეთი, გერმანია) — ჩამორჩა 4 წრით (ორივე „ჯოესტ პორშე 962").

საბოლოოდ ქულები ასე განაწილდა:

პირადი ჩათვლა: 1-2. მაურო ბალდი (იტალია), ჟან-ლუი შლესერი (საფრანგეთი) — 49,5 ქულა; 3. იოჰენ მასი (გერმანია) — 48 (სამივე „საუბერ-მერსედესი"); 4. ენდი უოლესი (ინგლისი, „სილქ ქათ იაგუარი") — 25; 5-7. მიხაელ შუმახერი (გერმანია), კარლ ვენდლინგერი (ავსტრია, ორივე „საუბერ-მერსედესი"), იან ლამერსი (ჰოლანდია, „სილქ ქათ იაგუარი) — 21 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა: 1. „საუბერ-მერსედესი" — 67,5 ქულა, 2. „სილქ ქათ იაგუარი" — 30; 3. „ნისან მოტოსპორტი" — 26; 4. „სპაის-ფორდი" — 13; 5. „ჯოესტ პორშე" — 7,5; 6. „კრემერ-პორშე" —5,5.

როგორც ხედავთ, 6 პილოტიდან ხუთი „საუბერ-მერსედესის" ღირსებას იცავს. ეს შვეიცარიულ-გერმანული ფირმის უდავოდ დიდი წარმატებაა და, რაც მთავარია, ამ გუნდის მენეჯერის — პეტერ საუბერის ექსპერიმენტის ბრწყინვალე დასასრული.

**დავით ჩუბინიძე**

# ოტია ჟორდანია



ფეხბურთის სამყაროში მისი სახელი კარგად იყო ცნობილი, თუმცა, როგორც თავად ამბობდა, ტყავის ბურთის დიდი ოსტატი არასოდეს ყოფილა. ოტია ჟორდანია 15 წლისა მიიღეს თბილისის „დინამოს" მეორე გუნდში, რომელშიც შემდგომში სახელგანთქმული ფეხბურთელები: შოთა შავგულიძე, მიხეილ ბერძენიშვილი და სხვები თამაშობდნენ. აქ იგი ცენტრალურ ნახევარმცველად გამოდიოდა 7 წლის განმავლობაში.

1933 წელს, ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდში გადავიდა. ორიოდე წელიწადში გუნდის კაპიტანი ო. ჟორდანია მოთამაშე-მწვრთნელი გახდა. 1936 წელს გუნდმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგ სპეციალობით რესპუბლიკის კურორტების სამმართველოში მუშაობდა, თან კვლავ თამაშობდა ფეხბურთს.

ომის შემდეგ ო. ჟორდანია მშობლიური უნივერსიტეტის გუნდს დაუბრუნდა,

თბილისის სახელგანთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაში აღზრდილნი დღესაც თბილად იგონებენ თავიანთ გულისხმიერ მწვრთნელს — ოტია მასწავლებელს, რომელმაც აქ შვიდი წელიწადი იმუშავა და ბევრ ნიჭიერ ჭაბუკს — შოთა იამანიძეს, მიხეილ მესხს, ავთანდილ ჭკუასელს, ზაურ კალოევს, ძმებ ალიოშა და სერგო კოტრიკაძეებს, სულიკო თორაძეს, შოთა კიტიას, ავთო ხელაძეს, ლევან ჟორდანიას დაულოცა გზა დიდ ფეხბურთში.

ო. ჟორდანია მსაჯობდა უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩებს: მინიჭებული ჰქონოდა რესპუბლიკური კატეგორიისა და საპატიო მსაჯის წოდებები. წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა თბილისის მსაჯთა კოლეგიას, რესპუბლიკის არბიტრთა კოლეგიის გამსინჯველ კომისიას.

უკანასკნელ წლებში ო. ჟორდანია მწვრთნელ-სელექციონერად მუშაობდა საქართველოს ფეხბურთის სამმართველოში, მერე კი ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციაში.

ბევრმა არც იცოდა, რომ ოტია ჟორდანია ჟურნალისტიც იყო (ალბათ, ამიტომ, უყურებდა ფეხბურთს მუდამ სტადიონის პრესის ლოჟიდან), 1929-1932 წლებში იგი მშობლიური ლანჩხუთის რაიონულ გაზეთში მუშაობდა კორესპონდენტად.

სულ ახლახანს გადააბიჯა 78 წელს. მისმა გარდაცვალებამ ყველას დაგვწყვიტა გული.

**საქართველოს ფეხბურთის ვეტერანები.**

# როგორ აღმოვაჩინეთ დოროხოვი...

ეს პატარა მოგონება ოტია ჟორდანიამ ამას წინათ გაგვიზიარა, დასაბეჭდადაც მოვამზადეთ, მაგრამ... ავტორი გაზეთში მის გამოქვეყნებას ვეღარ მოესწრო.

— **თექვსმეტი** თუ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. თბილისის „დინამოს" მეორე გუნდში („დინამო — კომსომოლსკაიას" რომ ეძახდნენ ხუმრობით) ვთამაშობდი შემდგომში სახელგანთქმულ ქართველ ფეხბურთელებთან: შოთა შავგულიძესთან და მიხეილ ბერძენიშვილთან ერთად. ჩვენი მოთამაშე მწვრთნელი, დიდებული ანდრო ჟორდანია მორიგ ვარჯიშს გვიტარებდა „დინამოს" ძველ სტადიონზე მაშინდელ პლეხანოვის პროსპექტზე რომ იყო მოთავსებული, კინოთეატრ „აპოლოს" გვერდით.

შევამჩნიე, რომ კარის უკან იდგა ვიღაც თვალებგაბრწყინებული ყმაწვილი, მუქი ლურჯი ფერის ჩაფართხუნებული შარვალი ეცვა და კარგა გვარიანად დაძონძილი ლაბადა — „ტელეგრეიკა". გვიანი შემოდგომის დღე იყო. ფეხბურთელები ზედიზედ თავგამოდებით ვურტყამდით ჩვენი მეკარის ალიოშა პაპკოვის კარში. თითქმის ყველა ბურთს, კარს რომ ასცდებოდა, ეს „ტელეგრეიკიანი" ახალგაზრდა იღებდა (საკმაოდ მოხერხებულად) და იქვე მინდორში გვიბრუნებდა ხელით ან ფეხით.

ცხადია, ბატონმა ანდრომაც შეამჩნია, „არამკითხე მეკარე". როდესაც ვარჯიში დამთავრდა, ჩვენი მწვრთნელი მივიდა მასთან და ვინაობას დაეკითხა.

— შურა დოროხოვ, იზ დიდუბე, ჟივუ ნა პოტიისკოი ულიცე — წაილუღლუღა დაბნეულმა ჭაბუკმა.

კარგი შესახედავი იყო, მრგვალი პირსახის, შავი გრუზათმიანი, ტანადი, ოდნავ გამხდარი.

— თუ გიყვარს ფეხბურთი?

— ძალიან!

— გინდა კარგი ფეხბურთელი გამოხვიდე?

— მეკარეობა მინდა.

— მოდი მაშინ ხვალ ვარჯიშზე 5 საათისთვის...

— ფორმა რომ არა მაქვს?..

— არა უშავს — შენ მოდი და ფორმას ჩვენ მოგცემთ.

მეორე დღეს შურა დოროხოვი მართლაც მოვიდა ვარჯიშზე. ანდრომ მწვანე სვიტერი აჩუქა. ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ, რომ „მეკარეთა მეკარე" ალექსანდრ დოროხოვი მთელი თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე, როგორც წესი, სწორედ ამ მწვანე სვიტერით თამაშობდა, მათ შორის ბასკებთან სამივე მატჩში მოსკოვსა და თბილისში.

...ახალგაზრდა დოროხოვმა პირველ რიგში ანდრო ჟორდანიასაგან შეისწავლა დიდი ფეხბურთი. ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, ჩვენს სახელგანთქმულ მწვრთნელს ამ შემთხვევაშიც არ უღალატა ალღომ, როდესაც ჭაბუკ შურას კარგი ფეხბურთელობა უწინასწარმეტყველა. ალექსანდრ დოროხოვმა კარის დაცვის ნამდვილ ხელოვნებას მიაღწია: საერთოდ, იმ პერიოდში, თბილისის „დინამოში" კი არა, ამიერკავკასიასა და, ალბათ, მთელ კავშირშიც არ მოიპოვებოდა ასეთი კლასის მეკარე. ლეგენდარულ ბორის პაიჭაძეს, მაგალითად, დოროხოვი, ქართულ ფეხბურთში ყველა დროის საუკეთესო მეკარედ მიაჩნდა.

რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს სპორტსახკომი, გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს „საქსპორტმშენის" № 4 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მმართველს თენგიზ აბუსერიძეს შამის

**გიორგი იოსების ძე აბუსერიძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატიო მსაჯი ფეხბურთში, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, ვეტერანი ფეხბურთელი

**ოტია შალვას ძე ჟორდანია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და ე. ხომერიკი.

[illegible] საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა [illegible], თბილისი, ვ. კოსტავას ქ., 14. [illegible] ქ. 20.